საქართველოს მთავრობის

დადგენილება №62

2023 წლის 13 თებერვალი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/02/2016, 300160070.10.003.019106) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებას 2^2 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^3 მუხლი:

„**მუხლი 2^3**. ამ დადგენილებით დამტკიცებული შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების 915-ე და 916-ე ქვეთავების მოქმედება შეჩერდეს 2024 წლის 1 იანვრამდე იმ ობიექტების მიმართ, რომლებიც არ განეკუთვნებიან „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტებს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 27 ოქტომბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**